



პროფილაქტიკური ჰიგიენური საშუალების –  
ქალის ვაგინალური სუბოზიტორების –  
**SCHALI® Care – FS**  
გამოყენების ინსტრუქცია  
ოპერაციული გინეკოლოგია: კომპლექსური მკურნალობა

1000

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

1000

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

NANO  
SCHALIPRODUCT  
LASER

1000

1000

**პროფილაქტიკური ჰიგიენური საშუალების -  
ქალის ვაგინალური სუპოზიტორების -  
SCHALI® Care - FS  
გამოყენების ინსტრუქცია  
ოპერაციული გინეკოლოგია: კომპლექსური მკურნალობა**

ქალის ვაგინალური სუპოზიტორები საშოს ლორწოვანი გარსის მდგომარეობის ჰიგიენისა და პროფილაქტიკისთვის **SCHALI® Care-FS** - აუმჯობესებს ქსოვილების რეგენერაციას, აქვს ანტიმიკრობული მოქმედება, განკუთვნილია ადგილობრივი გამოყენებისთვის ოპერაციულ გინეკოლოგიაში კომპლექსური მკურნალობისთვის ოპერაციის შემდგომ და რეაბილიტაციის პერიოდში.

**გამოშვების ფორმა:**

ცხიმოვანი პროფილაქტიკური სანთლები, 2 გ

**შემადგენლობა:**

შედგება ეკოლოგიურად სუფთა, მცენარეულ-მინერალური წარმოშობის კომპონენტებისგან.

კაკაოს კარაქი, პროპოლისი, დიდი ქრისტესისხლას ფოთლების ექსტრაქტი, გვირილის ყვავილების ექსტრაქტი, მუმო, გრიფონიას თესლის ექსტრაქტი, ტიტანის დიოქსიდი.

**მოქმედების მექანიზმი:**

სუპოზიტორები ნატურალური მცენარეული ზეთების, მინერალებისა და ფიტოექსტრაქტების ბაზაზე, საშოში თანდათანობით გახსნის, შეიწოვება ლორწოვანის მიერ და ახდენს მარეგენერირებელ მოქმედებას, ასევე ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.

მცენარეულ და მინერალურ კომპონენტებს და მათ შემადგენელ ელემენტებს გააჩნია იმუნომოდულაციური, ანთების საწინააღმდეგო, ანტიაგრეგანტული, ფიბრინოლიტიკური, შეშუპების საწინააღმდეგო, თრომბოლიტიკური და ანალგეტიკური მოქმედება. მცირდება ტრანსფორმაციული ზრდის ფაქტორის დონე, ამრიგად, უმჯობესდება რეგენერაცია, შემაერთებელი ქსოვილისა და ფიზიოლოგიური ნაწიბურის ფორმირება, რაც აჩქარებს შეხორცებასა და გამოჯანმრთლებას.

სუპოზიტორების რეგულარული გამოყენება ხელს უწყობს ანთების საწინააღმდეგო ციტოკინების გამოყოფის ზრდას, არეგულირებს იმუნოგლობულინებისა და ანტისხეულების დონეს და ამრიგად, ახდენს მრავალმხრივ იმუნომოდულაციურ ეფექტს, ზრდის რა ფაგოციტების აქტივობას და ასტიმულირებს ინტერფერონოგენებს. ხდება რეპარაციული პროცესების ფიზიოლოგიური მიმდინარეობის ოპტიმიზაცია, ჩქარდება ჰემატომებისა და შეშუპების გაწოვა, სისხლძარღვების კედლების გამტარობის ნორმალიზაცია, უმჯობესდება მიკროცირკულაცია და ტროფიკული პროცესები ქსოვილების დაზიანების ზონაში.

ტიტანის დიოქსიდის ანტიბაქტერიული და ანტიმიკრობული მოქმედება ეფუძნება პეპტიდების, გლიკოზიდებისა და მსგავსთა არაგაჯერებელი ქიმიური ბმების დეაქტივაციის უნარს, გარედან შემოსული ეგზოგენური და შიგნიდან შემოსული ენდოგენური მავნე ტოქსიკური შენაერთების მოცილების უზრუნველყოფით. ეს, თავის მხრივ, ანთებითი ხასიათის სხვადასხვა პათოლოგიების სიმპტომების აღმოფხვრის გამოხატულ ეფექტს ახდენს, საშოს ლორწოვანის ღრმად მდებარე ფენებშიც კი. იზრდება საშოს ეპითელიუმის უჯრედების მდგრადობა ინფექციური და ანთებითი აგენტების მიმართ, რაც აფერხებს რეკურენტული ინფექციების წარმოქმნას.

მუმო წარმოადგენს ეფექტურ ადაპტოგენურ და საერთო გამაძლიერებელ საშუალებას, აძლიერებს სხვადასხვა ქსოვილების რეგენერაციას, ახდენს როგორც ანთების საწინააღმდეგო, ანტიტოქსიკურ, იმუნო- და საერთო გამაძლიერებელ, ასევე აღდგენით მოქმედებას.

მუმო კვებით უზრუნველყოფს ქალის რეპროდუქციული სისტემის ყველა ორგანოს, წარმოადგენს ფიტოესტროგენების წყაროს, რაც სუპოზიტორების გამოყენებას განსაკუთრებით ეფექტურს ხდის გადატანილი გინეკოლოგიური ოპერაციების შემდეგ. რეგულირდება ენდოკრინული ბალანსი, ძლიერდება საკვერცხეების ფუნქცია, მსუბუქდება კლიმაქსის სიმპტომები, ხდება სარძევე ჯირკვლის ესტროგენებით ჭარბი სტიმულაციის თავიდან აცილება.

ქრისტესისხლა ააქტიურებს იმუნიტეტის არასპეციფიკურ რეაქციებს, აძლიერებს ორგანიზმის ბუნებრივ რემისტენტობას, ამადლებს იმუნური სისტემის T- და B-რგოლების ეფექტურობას, აღადგენს დათრგუნულ იმუნურ რეაქციებს.

გრიფონია ახდენს ენდოკრინული სისტემის აქტივაციას, გავლენას ახდენს ორგანიზმის არასპეციფიკურ რეაქტიულობაზე და ახდენს მეტაბოლიზმის კოორდინაციას.

პროდუქტი გამოიყენება როგორც ჰიგიენური მიზნებისთვის, პროფილაქტიკური მოქმედებით, ასევე გინეკოლოგიური დაავადებების ფართო სპექტრის კომპლექსური თერაპიისას. გარს ეკვრის და რბილად ამშვიდებს ლორწოვანს ელასტიურობისა და სიმკვრივის შემდგომი ზრდით. აღადგენს ეპითელიუმის სტრუქტურას, ახდენს საშოს მიკროფლორისა და pH-ის ნორმალიზაციას, ცვლის ცერვიკალური ლორწოს რაოდენობასა და ხარისხს. ხსნის ვაგინალური დისკომფორტის შეგრძნებას (ქავილი, წვა, გაღიზიანება). ახდენს ხანგრძლივ დამატენიანებელ მოქმედებას საშოს ლორწოვან გარსზე.

პრეპარატს გააჩნია ჰიპოალერგენული მოქმედება.

### ჩვენებები:

საშოს ლორწოვანი გარსის რეგენერაციის გაუმჯობესებისთვის შემდეგი დაავადებების მკურნალობისას:

- დისპლაზია (ქირურგიული ჩარევისა და მკურნალობის დესტრუქციული მეთოდების, მათ შორის, დიათერმოკოაგულაციის, კრიოდესტრუქციის, ლაზეროდესტრუქციის შემდეგ).

- საშოს კისტის ამოღების შემდეგ პოსტოპერაციულ პერიოდში
- საშოს ფისტულები
- მშობიარობის შემდგომ პერიოდში
- სამშობიარო ტრავმების დროს
- კასტრაციის შემდგომი სინდრომის
- საკვერცხის აბსცესის დროს
- ადჰიზიური დაავადების დროს

### გამოყენების წესი:

გამოიყენება ინტრავაგინალურად. გამოყენების წინ გაათავისუფლეთ სუბოზიტორი კონტურული შეფუთვისგან.

სუფთა ხელებით ფრთხილად შეიყვანეთ სუბოზიტორი საშოში. შეიყვანეთ 1 სუბოზიტორი დღეში 2-ჯერ, 30 დღის განმავლობაში. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია კურსის გახანგრძლივება 90 დღემდე.

### გვერდითი მოვლენები:

გვერდითი მოვლენები არაა გამოვლენილი.

არ ვითარდება დამოკიდებულება და არ ჩნდება შეწყვეტის სინდრომი.

### უკუჩვენებები:

არ გამოიყენოთ ორსულობის პერიოდში. სხვა უკუჩვენებები არაა გამოვლენილი

### შენახვის წესები:

პროდუქტი უნდა ინახებოდეს დაუზიანებელ შეფუთვაში გრილ ადგილზე, +4°C-დან + 15°C-მდე ტემპერატურაზე.

### ვარგისიანობის ვადა:

ვარგისიანობის ვადა შეადგენს გამოშვების თარიღიდან 24 თვეს.

არაა რეკომენდებული პროდუქტის გამოყენება შეფუთვაზე მითითებული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ.

**SCHALI® Care** სერიის კომპლექსური საშუალებები იწარმოება ლიცენზია № 286-S საფუძველზე.